საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 09 ივნისი, 2016 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/32

,,ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წელს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტისა და აბიტურიენტთა მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 02 დეკემბრის № 04-01/12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის, ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებისა და ბათუმის ხელოვნების უნივერისიტეტის წესდების მე-9 მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ,,ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წელს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტისა და აბიტურიენტთა მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 02 დეკემბრის № 04-01/12 დადგენილების №1 დანართი სახვითი, სასცენო და კინოტელე ხელოვნების ფაკულტეტის საშემსრულებლო შემოქმედებითი ხელოვნების საგანამანათლებლო პროგრამის ნაწილში ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,- საშემსრულებლო შემოქმედებითი ხელოვნების საგანამანათლებლო პროგრამაზე (თოჯინების თეატრის სამსახიობო) - 15 ადგილი (ჯგუფში სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა - 7)“.

2. ,,ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წელს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტისა და აბიტურიენტთა მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 02 დეკემბრის № 04-01/12 დადგენილების №2 დანართის პირველ მუხლს დაემატოს მე-11 პუნქტი.

,,11. სამსახიობო შემოქმედებითი ხელოვნების საგანამანათლებლო პროგრამაზე არასაკმარისი რაოდენობის აბიტურიენტთა ჩარიცხვის შემთხვევაში მიმღები კომისია უფლებამოსილია აბიტურიენტებს შესთავაზოს მათთვის სასურველი სხვა საგანმანათლებლო პროგრამა“.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**